პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

კვირა, 17 ოქტომბერი, 1948 წ. № 207 (8251). ფასი 20 კაპ.

სასახელოდ დავამთავროთ სამეურნეო წელი

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად კანონიერი სიამაყის გრძნობით გაეცნობიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ გამოქვეყნებულ ცნობას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1948 წლის მესამე კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგებს. ახალი ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის მესამე კვარტალის გეგმა სსრ კავშირის მრეწველობამ საერთო პროდუქციის მიხედვით 107 პროცენტით შეასრულა. მიმდინარე წლის 9 თვეში მრეწველობის საერთო პროდუქციამ 14 პროცენტით გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის საშუალო დონეს. უდიდესი წარმატებებია მოპოვებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის, რკინიგზისა და სამდინარო ტრანსპორტის, კაპიტალურ სამუშაოთა და საქონელბრუნვის დარგში. ჩვენი უძლეველი სამშობლოს მთელი სახალხო მეურნეობა განუხრელად მიდის აღმავლობის გზით.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობას საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1948 წლის მესამე კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ. როგორც მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ისე კაპიტალურ მშენებლობასა და რკინიგზის ტრანსპორტზე მოპოვებულია თვალსაჩინო წარმატებები. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ 104 პროცენტით შეასრულა. გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით პროდუქციის გამოშვება გადიდდა 14 პროცენტით და 1940 წლის დონეს 21 პროცენტით გადააჭარბა. საგრძნობლად გაიზარდა ქვანახშირისა და მარგანეცის მოპოვება, დაზგებისა და მანქანების გამოშვება. სამრეწველო სამინისტროების დიდმა უმრავლესობამ გადაჭარბებით შეასრულა საგეგმო დავალებანი. ცალკეულმა მსხვილმა საწარმოებმა, როგორიცაა ბერიას სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი, ლიტოპონის, პლასტმასის, ქუთაისის სამთო მანქანათმშენებლობის ქარხნები, ქარხანა „დაზგა", მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, და ათობით სხვა სამრეწველო საწარმომ გასულ წელთან შედარებით დიდად გაზარდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება.

გასული წლის მესამე კვარტალთან შედარებით მიმდინარე წლის მესამე კვარტალის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა რესპუბლიკაში 27 პროცენტით გაიზარდა. პირველი ოქტომბრისათვის კაპიტალური მშენებლობის წლიური დავალებანი შეასრულეს ისეთმა დიდმნიშვნელოვანმა ობიექტებმა, როგორიცაა ხრამისა და სოხუმის ჰიდროელსადგურების მშენებლობები, სამგორის სარწყავი სისტემა, კოლხიდმშენი და სხვ. მესამე კვარტალში ამუშავდა სოხუმის ჰიდროელსადგურის პირველი აგრეგატი, აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 53 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი.

განსაკუთრებით დიდია ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის მიერ მოპოვებული გამარჯვება. წელს 30 ათასი ჰექტარით გადიდდა ნათესი ფართობი კოლმეურნეობებში. გადაჭარბებით შესრულდა პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პირველი ოქტომბრისათვის, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 5.950 ტონით მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი და ჩაის ფოთლის კრეფის სახელმწიფო გეგმა ვადამდე შეასრულეს. თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული თამბაქოს მოსავლის აღებაში. რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წელს ათეულათასობით ცენტნერ ყურძენს აბარებენ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით, სუბტროპიკულ რაიონებში ემზადებიან ციტრუსოვანთა ნაყოფის უხვი მოსავლის აღებისათვის. საგრძნობლად გაიზარდა საკოლმეურნეო პირუტყვის სულადობა. სოფლის მეურნეობის მშრომელები სახელოვნად ასრულებენ დიდი სტალინისათვის მიცემულ პირობას.

ამიერკავკასიის რკინიგზამ საშუალო სადღეღამისო დატვირთვის გეგმა 108 პროცენტით შეასრულა, ხოლო გადმოტვირთვისა — 104 პროცენტით.

მაგრამ ამ წარმატებებთან ერთად უნდა აღინიშნოს მრეწველობის ზოგიერთი დარგისა და ცალკეული საწარმოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. მესამე კვარტალი ჩამორჩენით დაამთავრეს საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა, საქნავთმა, ხორცისა და რძის, სატყეო მრეწველობის სამინისტროებმა, ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო, ბათუმის მანქანათმშენებელმა, თბილისის ტყავის პირველმა ქარხნებმა და სხვ. შეუსრულებელი დარჩა ტყავის ნაწარმის, ჰიდროტურბინების, წმინდა აბრეშუმის ქსოვილის, ლურსმნისა და სხვა პროდუქციის გამოშვების დავალებანი.

ვერ შეასრულეს საცალო საქონელბრუნვის გეგმა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში გაერთიანებულმა სავაჭრო ორგანიზაციებმა. საცალო საქონელბრუნვის მესამე კვარტალის რესპუბლიკური გეგმის შესრულებას დააკლდა 7 პროცენტი. თუ გავითვალისწინებთ საერთო საქონელბრუნვის მოცულობას, ეს დანაკლისი მილიონობით მანეთს უდრის. ჩამორჩენას აქვს ადგილი აგრეთვე საზოგადოებრივი კვების დარგში. მრეწველობისა და საქონელბრუნვის ჩამორჩენილი დარგების ხელმძღვანელებმა თავიანთი მუშაობის მესამე კვარტალის შედეგებიდან სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ.

საბჭოთა ხალხმა მიმდინარე სამეურნეო წელს ახალი ხუთწლედის გადამწყვეტი წლიწადი უწოდა. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება წლიური გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. ამ შეჯიბრებაში მოპოვებულია თვალსაჩინო წარმატებები. რესპუბლიკის მრავალი საწარმო ახალი ხუთწლედის მეოთხე წლის ანგარიშში უშვებს პროდუქციას. საქართველოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობათა კოლექტივებმა ამ დღეებში პირობა მისცეს დიდ სტალინს, რომ წელს სახელმწიფოს მისცემენ 155 მილიონ მანეთ ზეგეგმით დაგროვებას. დიდი სტალინისათვის მიცემული პირობა გვავალებს ენერგიის დაუზოგავად ვიმუშაოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დავალებათა ვადამდე განაღდებისათვის.

სამი კვირის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად, იდღესასწაულებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავს. ამ უმნიშვნელოვანეს თარიღს შევხვდეთ ახალი წარმატებების მოპოვებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, სასახელო საწარმოო მაჩვენებლებით დავამთავროთ ომისშემდგომი ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი, კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერება!

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება და წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარეს 17.760 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 17.000 ცენტნერისა.

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობამ და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობამ და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება და წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარეს 2.190 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 2.000 ცენტნერისა.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მოგახსენებთ, რომ სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს „ვოენმორსტროი—10"-ის მშენებელთა, მემონტაჟეთა და დონის როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერთა და მოსამსახურეთა კოლექტივებმა პირნათლად შეასრულეს თქვენი მითითება 1948 წელს „როსტსელმაშის" ქარხნის აღდგენის დამთავრებისა და კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მასობრივი წარმოების მოწყობის შესახებ.

მსოფლიოში უდიდესი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხანა „როსტსელმაში", რომელიც გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ ნანგრევებად და ფერფლად იყო ქცეული, მთლიანად არის აღდგენილი. მან 1948 წლის 9 თვის განმავლობაში გამოუშვა 5.100 კომბაინი „სტალინეც—6", ნაცვლად ომამდელი მთელი 1940 წლის განმავლობაში გამოშვებული 5.015 კომბაინისა.

ქარხანაში აღდგენილია და გადაცემულია საექსპლოატაციოდ ყველა საწარმოო საამქრო: თუჯსამსხმელო, ფოლადსამსხმელო, სამჭედლო, წნეხის, გუთნის, კომბაინთა საამწყობო, ხისდამმუშავებელი, სარემონტო-მექანიკური, საინსტრუმენტო, საექსპერიმენტო, ქარხნის თბოელექტროცენტრალი და სხვა ობიექტები, რომელთაც უკავიათ 306 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი.

ქარხნის აღდგენილი საამქროები გაცილებით უკეთესია, ვიდრე ისინი დანგრევამდე იყვნენ.

ქარხნის მშრომელებმა და მშენებლებმა აღდგენილ კეთილმოწყობილ სახლებში დამატებით მიიღეს ბინები, რომელთა საერთო ფართობი 66.800 კვადრატული მეტრია, სკოლა, საბავშვო ბაღები, პოლიკლინიკა, სტადიონი, კულტურისა და დასვენების პარკი.

აღდგენითი სამუშაოები ხორციელდებოდა მაღალ ტექნიკურ დონეზე, მშენებლობის მაქსიმალური მექანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე, წარმოების მუშაკთა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკთა თანამეგობრობით, რამაც „ვოენმორსტროი—10"-ის № 106 სამმართველოს მშენებელთა და სპეციალიზებულ ორგანიზაციათა კოლექტივებს საშუალება მისცა მიეღწიათ მიმდინარე წელს სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის იმ დონისათვის, რომელიც ხუთწლიანი გეგმით დაწესებულია 1950 წლისათვის, და ვადამდე, ამა წლის 5 ოქტომბრისათვის, შეესრულებინათ 1948 წლისათვის დამტკიცებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა.

ჩვენ ვამაყობთ იმით, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ მშენებელი მუშებისა და ქარხნის კოლექტივის თავდადებულმა შრომამ, რაც გაწეულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილების შესასრულებლად, დიდი დახმარება გაუწია ჩვენს სოციალისტურ სოფლის მეურნეობას აღდგენისა და შემდგომი განვითარების საქმეში.

აღდგენის პერიოდში ქარხანაში და საამშენებლო მოედნებზე აღიზარდნენ მტკიცე კოლექტივები, რომლებიც დაეუფლნენ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და მშენებლობის საქმის მოწინავე ტექნიკას და უნარი შესწევთ წარმატებით შეასრულონ პარტიის, მთავრობისა და პირადად თქვენი, ამხანაგო სტალინ, ახალი დავალებანი.

„როსტსელმაშის" ქარხნის კოლექტივი, დაწყებული 1948 წლის იანვრიდან, სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო გეგმას მთელი დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით და ამა წლის 7 ოქტომბერს დაამთავრა ათი თვის პროგრამის შესრულება.

პირობას გაძლევთ, ამხანაგო სტალინ, ქარხნის წლიური საწარმოო გეგმა შევასრულოთ 5 დეკემბრისათვის და 1948 წელს ჩვენს ქვეყანას მივცეთ შვიდი ათასი კომბაინი, შვიდი ათასი სატრაქტორო გუთანი და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით სულ ცოტა რვა მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

სიტყვას გაძლევთ, ჩვენო ძვირფასო ბელადო და მასწავლებელო, რომ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის უსწრაფესი აღორძინებისა და შემდგომი აღმავლობისათვის მთელ ჩვენს ძალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოვახმართ შექმნილ საწარმოო სიმძლავრეთა რაც შეიძლება მალე ათვისების, ტექნოლოგიის განუწყვეტლივ გაუმჯობესების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვების გადიდების საქმეს, ყოველმხრივ გავაუმჯობესებთ ქარხნისა და მშენებლობის მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას.

სულით და გულით გისურვებთ, ჩვენო ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ჯანმრთელობასა და მრავალ წელს სიცოცხლეს საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

სამხედრო-საზღვაო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებისა და ქარხანა „როსტსელმაშის" მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დავალებით:

სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს „ვოენმორსტროი—10"-ის უფროსი **ბრენადერი**

სტალინის სახელობის ქარხანა „როსტსელმაშის" დირექტორი **სარქისოვი**

მშენებლობის უფროსი **გუბანოვი**

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი სტალინის სახელობის ქარხანა „როსტსელმაშში" **ჩერნიკოვი**

საკავშირო კ. პ. (ბ) როსტოვის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის მდივანი **ნ. პატოლიჩევი**

დონის როსტოვი, ქარხანა „როსტსელმაში"

ამხანაგებს ბრენადერს, სარქისოვს, გუბანოვს, ჩერნიკოვს, პატოლიჩევს

ვულოცავ „ვოენმორსტროი—10"-ისა და ქარხანა „როსტსელმაშის" მშენებელთა და მემონტაჟეთა კოლექტივებს დიდ საწარმოო გამარჯვებას — ჩვენი ქვეყნის უდიდესი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის აღდგენასა და კომბაინთა წარმოების ომამდელი დონის მიღწევას.

ქარხანა „როსტსელმაშის" აღდგენასა და კომბაინთა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მასობრივი წარმოების დაწყებას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

სამშობლო დიდად აფასებს თქვენს თავდადებულ შრომას, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ჩვენს სოფლის მეურნეობას მისი ტექნიკური აღჭურვის საქმეში.

რწმენას გამოვთქვამ, რომ თქვენ მოკლე ვადაში მთლიანად აითვისებთ კომბაინების, სატრაქტორო გუთნებისა და სხვა მანქანების გამოშვების ქარხნის საწარმოო სიმძლავრეებს და განაგრძობთ ქარხნის ახალი სამრეწველო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას.

გისურვებთ, ამხანაგებო, ახალ წარმატებებს თქვენს მუშაობაში.

ი. სტალინი

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1948 წლის III კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის მუშაობა, კაპიტალურ სამუშაოთა და საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 1948 წლის III კვარტალში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

I. მრეწველობა

საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციის გეგმა 1948 წლის III კვარტალში შესრულებულია 104 პროცენტით, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში III კვარტალის გეგმა შესრულებულია 98 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში—109 პროცენტით.

1948 წლის წლიური გეგმით დადგენილი 9 თვის დავალება 3 პროცენტის გადაჭარბებით არის შესრულებული.

1948 წლის 9 თვის განმავლობაში მრეწველობის საერთო პროდუქცია 1947 წლის სათანადო პერიოდთან შედარებით 14 პროცენტით გაიზარდა.

1948 წლის 9 თვის განმავლობაში პროდუქციის საშუალო თვიურმა გამოშვებამ 1940 წლის საშუალო თვიურ გამოშვებას 21 პროცენტით გადააჭარბა.

ცალკეული სამინისტროებისა და საწარმოების მიხედვით III კვარტალის გეგმის შესრულებასა და დინამიკას 1947 წლის III კვარტალთან შედარებით ახასიათებს შემდეგი მაჩვენებლები:

საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობა

	1948 წლის III კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1948 წლის III კვარტალი პროცენტობით 1947 წლის III კვარტალთან შედარებით
საქართველოს ქვანახშირის კომბინატი	92	121
ჭიათურის მარგანეცის ტრესტი	104	109
საქნავთის ტრესტი	78	90
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა	110	156
სპილენძსაგლინავი ქარხანა	128	100,
საქენერგო	107	113
ხრამჰესი	110	—
ლიტოპონის ქარხანა	119	127
კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა	112	121
ქარხანა „დაზგა"	109	135
ქარხანა „ცენტროლიტი"	121	123
სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხანა	86	79
ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	114	123
ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	78	126
ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხანა	112	166
კასპის ცემენტის ქარხანა	109	128
მინის ქარხანა	128	128
ენგურის ქაღალდის კომბინატი	100,2	118
ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა	97	152
სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი	122	170
ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი"	94	145
მარგარინის ქარხანა	93	131
გორის საკონსერვო ქარხანა	143	168
ქუთაისის საკონსერვო ქარხანა	121	123
ბათუმის ციტრუსების კომბინატი	108	117
შამპანური ღვინოების კომბინატი	55	46
თბილისის წისქვილკომბინატი	119	212
ფოთის წისქვილკომბინატი	108	118
ფარმქიმქარხანა	94	137
პლასტმასის ქარხანა	153	252

საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობა:

	1948 წლის III კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1948 წლის III კვარტალი პროცენტობით 1947 წლის III კვარტალთან შედარებით
საგემოვნო მრეწველობის სამინისტრო	120	114
მათ შორის:		
ტრესტი „საქართველოს ჩაი"	119	137
სამტრესტი	123	111
საქართველოს თამბაქოს ტრესტი	123	65
საქართველოს ლუდ-ლიმონათის ტრესტი	108	140
საქართველოს მინერალური წყლების ტრესტი	122	168
კვების მრეწველობის სამინისტრო	101	151
მათ შორის:		
საქპურტრესტი	99	186
„გლავკონდიტერი"	106	128
საპნის ქარხანა	102	104
ზეთსახდელი ქარხანა	89	93
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	75	79
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	104	98
მათ შორის:		
თბილისის ტყავეულის ქარხანა № 1	57	45
თბილისის ტყავეულის ქარხანა № 2	115	98
ბათუმის ტყავეულის ქარხანა № 3	98	94
თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1	99,3	146
თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 2	100,3	114
ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 4	106	115
სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკა	110	114
ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატი	104	97
სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატი	105	101
თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 1	108	87
თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 2	106	83
ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკა № 4	121	96
ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა № 5	104	111
თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 7	100,3	119
საგალანტერიო ფაბრიკა	110	105
საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	105	104
მათ შორის:		
თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველო"	119	107
ქუთაისის მაუდის ფაბრიკა	109	105
თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა	99,9	108
ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი	101	124
ბამბის ფაბრიკა	111	92
ბამბის სართავი ფაბრიკა	97	101
წულუკიძის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა	107	98
თელავის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა	102	102
სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა	105	109
მახარაძის აბრეშუმის ძაფსაგრეხი ფაბრიკა	110	104
სატყეო მრეწველობის სამინისტრო	94	145
მათ შორის:		
ახმეტის ხე-ტყის სახერხი ქარხანა	100,4	153
ბათუმის ფანერის ქარხანა	104	102
თბილისის ავეჯის ფაბრიკა	104	112
მარელისის ავეჯის ფაბრიკა	122	142
საქართველოს ხე-ტყის დამზადების ტრესტი	81	248
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	105	109
მათ შორის:		
საბურთალოს აგურის ქარხანა	110	103
ნოსირის აგურის ქარხანა	103	160
სამტრედიის აგურის ქარხანა	136	134
საქტემენიტი (კურსების გრანიტის წარმოება)	107	72
ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხანა „შროშა"	119	104
სურამის კირის ქარხანა	133	110
ცხაკაიას კირის ქარხანა	123	98
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	106	107
მათ შორის:		
26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	106	96
კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა	100,8	100,2
ლითონის კონსტრუქციათა ქარხანა	109	115
სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა	105	97
მომთუთიებელი ქარხანა	111	88
საინსტრუმენტო ქარხანა	121	124
მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატი	118	128

(დასასრული მეორე გვერდზე)

საქართველოს სსრ სოციალისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1948 წლის III კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ

(დასასრული)

	1948 წლის III კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1948 წლის III კვარტალი პროცენტით 1947 წლის III კვარტალთან შედარებით
ცელულოიდის ნაწარმის ფაბრიკა	129	108
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	107	106
მათ შორის:		
თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა	108	109
სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	118	103
სარეწაო კოოპერაციის მრეწველობა (1926-27 წლის ფასებით)	107	106
მათ შორის:		
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციის სამმართველო	107	102
ინვალიდთა კოოპერაცია	108	117

ცალკეულმა სამინისტროებმა საერთო პროდუქციის კვარტალური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, მაგრამ ზოგიერთი მნიშვნელოვანი სახის პროდუქციის გეგმა არ შეუსრულებიათ: მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ტყავეულის დარგში; ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს—ჰიდროტურბინების, ლურსმნისა და ნავთქურების დარგში; საფეიერო მრეწველობის სამინისტროს—წმინდა აბრეშუმის ქსოვილების დარგში; კვების მრეწველობის სამინისტროს—საბჭოელის ზეთისა და მაკარონის ნაწარმის დარგში; საგადოგნო მრეწველობის სამინისტროს—თამბაქოს, არყის ნაწარმის, ყურძნის წვენისა და უალკოჰოლო სასმელების დარგში; სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს—აგურის, ლურსმნის, ფეხსაცმლის, ტყავეულის, სატრიკოტაჟო და წინდის ნაწარმის დარგში; ინვალიდთა კოოპერაციას—ლურსმნის, საწოლების, სოდაბავების, სარეცხი საპნის, ტყავეულის, ფეხსაცმლის, ზედა ტრიკოტაჟის, წინდის ნაწარმის დარგში.

1948 წლის III კვარტალში სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანეს საბეგი გამოშვების გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1948 წლის III კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1948 წლის III კვარტალი პროცენტით 1947 წლის III კვარტალთან შედარებით
მარგანეცის მადანი	107	112
ქვანახშირი — სულ	89	117
მათ შორის: ტყიბულის	87	123
ტყვარჩელის	96	102
ახალციხის	58	556
ნავთი	75	104
დაფქული გუმბრინი	109	119
დაფქული ბარიტი	115	136
ელექტროენერგია (საქენერგო)	107	112
მათ შორის: რიონჰესი	105	97
ზაჰესი	98	97
ტყვარჩელჰესი	128	130
ალჰესი	107	109
ლითონსაჭრელი დაზგები	128	155
მათ შორის: ქირვის სახელობის ქარხანა	123	110
ქარხანა „დაზგა“	127	217
შრომითი რეზერვების სამინისტროს სამსხმელო-მექანიკური ქარხანა	159	—
საფეიერო დაზგები	204,0	—
ცემენტი	117	130
შიფერი	131	124
აგური (საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო)	103	142
კრამიტი „ „	100	189
კირი „ „	107	111
ასანთი (სატყეო მრეწველობის სამინისტრო)	101	120
დაწრეტილი ფანერი „ „	91	119
ფახარიული მასალა „ „	62	140
სამასალე მერქნის გამოტანა:		
სატყეო მრეწველობის სამინისტრო	87	317
სარეწაო კოოპერაცია	110	262
ქაღალდი:		
ენგურის ქაღალდის კომბინატი	97	109
თბილისის ქაღალდის ფაბრიკა	111	136
ზალის ქსოვილი:		
საფეიერო მრეწველობის სამინისტრო	105	106
სარეწაო კოოპერაცია	115	94
აბრეშუმის ქსოვილი:		
საფეიერო მრეწველობის სამინისტრო	100,3	90
სარეწაო კოოპერაცია	121	95
ბრეული	105	102
წინდის ნაწარმი:		
ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“	69	123
სარეწაო კოოპერაცია	72	88
ინვალიდთა კოოპერაცია	68	79
თეთრეული ტრიკოტაჟი:		
ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“	93	128
სარეწაო კოოპერაცია	147	172
ინვალიდთა კოოპერაცია	105	127
ზედა ტრიკოტაჟი:		
ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“	93	157
სარეწაო კოოპერაცია	72	75
ინვალიდთა კოოპერაცია	75	73
ფეხსაცმელი:		
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	102	115
ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა	100,5	155
სარეწაო კოოპერაცია	77	85
ინვალიდთა კოოპერაცია	67	72
ქრომის ტყავი (საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო)	94	90
საწოლები (ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო)	101	124
პიანინოები „ „	119	166
ერმი-კარაქი	75	101
ქიონერეული ზეთი	90	71
ბორცი	65	80
კონსერვები	117	118
მაკარონის ნაწარმი	97	138
ჩაი ბზა აწონილი	115	99
ყურძნის ღვინო (სამტრესტი)	102	114
პაპაროსი (საგადოგნო მრეწველობის სამინისტრო)	117	78
სამონი:		
კვების მრეწველობის სამინისტრო	105	104
ბორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	156	140
სარეწაო კოოპერაცია	96	99

II. კაპიტალური მშენებლობა

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ცენტრალიზებულ კაპიტალდაბანდებათა 1948 წლის III კვარტალის გეგმა სახალხოეკონომიური ღირებულების მიხედვით შესრულებულია 83 პროცენტით, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების ობიექტებში — 81 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების ობიექტებში — 93 პროცენტით.

შესრულებულ კაპიტალურ სამშენებლო მოცულობამ 1948 წლის III კვარტალში 1947 წლის III კვარტალის კაპიტალურ სამშენებლო მოცულობას გადააჭარბა 27 პროცენტით, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების ობიექტებში 31 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების ობიექტებში — 7 პროცენტით.

1948 წლის 9 თვის განმავლობაში ყველა კაპიტალურ სამშენებლო-სამონტაჟო მოცულობის გადიდებას გასულ წელთან შედარებით, მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საკვანძო დავალებებს ვერ ასრულებს. კერძოდ, გასულ წელთან შედარებით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად სახელმწიფო გეგმებს ვერ ასრულებენ ამიერკავკასიის მეტალურგიული მშენებლობის ტრესტი, სამშენებლო ტრესტი № 11, „ელექტროტეგანსტროი“, საქშახტმშენი, საქსოფლელექტრო.

რესპუბლიკის ბერმა მშენებლობამ კაპიტალურ სამუშაოთა წლიური გეგმა გადაჭარბებით მიისრულა და ამკამად ახორციელებს მშენებლობას დამატებითი ასიგნებების ხარჯზე. კერძოდ, კაპიტალურ მშენებლობათა წლიური გეგმა 1948 წლის 1 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ნრამის ჰიდროელექტროსადგურის, სოხუმის ჰიდროელექტროსადგურის, სამტროს სარწყავი სისტემის, კოლხიდის დაბლობის ამოშრობის მშენებლობებმა და სხვ.

მიმდინარე კვარტალში ამუშავებულია სოხუმის ჰიდროელექტროსადგურის ერთი აგრეგატი.

მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში საქმსაოტაციოდ გადაცემულია 53.327 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ცალკეულნი სამინისტროებს, უწყებებისა და დიდი მშენებლობების მიხედვით კაპიტალურ დაბანდებათა 1948 წლის III კვარტალის გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (პროცენტებით):

ა. საკავშირო დაქვემდებარების ობიექტები:

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა	47
მათ შორის:	
ამიერკავკასიის მეტალურგმშენის მიერ შესრულებული სამუშაოები	65
ქუთაისის საავტომობილო ქარხანა	99
მათ შორის:	
№ 11 სამშენებელო სამმართველოს მიერ შესრულებული სამუშაოები	63
ჭიათურის მარგანეცის ტრესტი	71
ზესტაფონის ფერომანგანუმთა ქარხანა	93
ყვითელმენი	121
ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხანა	91
საქართველოს ქვანახშირის კომბინატი	83
მათ შორის:	
საქშახტმშენის მიერ შესრულებული სამუშაოები	94
საქნავთის ტრესტი	99
საქენერგო	120
ხრამჰესი	100,6
სოხუმჰესი	130
პლატანისის ქარხანა	133
ლიტონიოს ქარხანა	121
ფასის ცემენტის ქარხანა	85
ქაშნურმშენის კომბინატი	123
კოლხიდის დაბლობის ამოშრობა	137
რკინიგზის მშენებლობა, რეკონსტრუქცია და გაძლიერება	94
ლოკომოტივსარემონტო ქარხანა	89

ბ. საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საბინისტროები და უწყებები

კვების მრეწველობის სამინისტრო	132
საგემოვნო მრეწველობის სამინისტრო	99,8
ბორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	58
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	100,9
საფეიერო მრეწველობის სამინისტრო	118
სატყეო მრეწველობის სამინისტრო	120
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	62
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	93
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	78
კინემატოგრაფიის სამინისტრო	107
განათლების სამინისტრო	141
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	115
წყალთა მეურნეობის სამინისტრო	76
კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	91
მათ შორის:	
ბინებისა და სასტუმროების მშენებლობა	92
კომუნალური მშენებლობა	94
ადმინისტრაციული მშენებლობა	81
ხელოვნების საქმეთა სამმართველო	75
კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი	73
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველო	109

III. სოფლის მეურნეობა და დამზადებანი

1948 წელს კოლმეურნეობებში გადიდებულია ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ნათესი ფართობი.

1948 წელს მთელმა ნათესმა ფართობმა 30 ათასი ჰექტარით გადააჭარბა 1940 წლის ნათეს ფართობებს.

ფარამატონი ჩატარდა თამბაქოს მოსავლის აღება. 1948 წლის 10 ოქტომბრისათვის შეტეხილია 12.585 ზონარამეტრით მეტი თამბაქო, ვიდრე 1947 წლის ანალოგიურ პერიოდში.

უფრო კარგად, ვიდრე 1947 წელს, მიმდინარეობს საკვები კულტურებისა და ნათესი ბალახების აღება. ბუნებრივი სათიბებიდან თივა აღებულია 11,1 ათასი ჰექტარით მეტ ფართობზე, ვიდრე 1947 წელს, ნათესი ბალახებისა თივა 1,9 ათასი ჰექტარით მეტ ფართობზე, ნათესი ბალახების თფილა—3,2 ათასი ჰექტარით მეტ ფართობზე. სიილოსი ჩადებულია 11,8 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1947 წელს.

1948 წლის 10 ოქტომბრისათვის მზრალად მოხნულია 1,1 ათასი ჰექტარით მეტი ფართობი, ვიდრე 1947 წლის ანალოგიურ დროისათვის.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პირველი ოქტომბრისათვის მოაბარეს 5.950 ტონით მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი, ვიდრე 1947 წელს, და ვადამდე შეასრულეს 1948 წლის გეგმა.

რესპუბლიკაში პოლის დაბრიდების გეგმა 1948 წლის 8 ოქტომბრისათვის 2,9 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა.

კოლმეურნეობებში გაუმჯობესდა მიცხოველეობის მდგომარეობა. პირუტყვის სოლდობა 1948 წლის 1 სექტემბრისათვის 1947 წლის 1 სექტემბერთან შედარებით გაიზარდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 3 პროცენტით, ღორისა — 15 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 7 პროცენტით, ცხენისა — 9 პროცენტით.

IV. რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა

ამიერკავკასიის რკინიგზაზე დატვირთვის საშუალო სადღეღამისო გეგმა 1948 წლის III კვარტალში შესრულებულია 108 პროცენტით. 1947 წლის III კვარტალთან შედარებით ზრდა ფერის II პროცენტს. ნავთის პროდუქტების დატვირთვის გეგმის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულების დროს (209 პროცენტი) რკინიგზა ვერ ასრულებს ქვანახშირის დატვირთვის (83 პროცენტი) და მარგანეცის მადნის დატვირთვის (93 პროცენტი) გეგმას, მაგრამ ამ ტვირთების მხრივ ვჭარბობს 1947 წლის III კვარტალის დონეს (ქვანახშირისას — 4 პროცენტით, მარგანეცის მადნისას — 16 პროცენტით).

გადმოტვირთვის საშუალო სადღეღამისო გეგმა რკინიგზამ 1948 წლის III კვარტალში 104 პროცენტით შეასრულა.

V. საქონლებრუნვა

საცალო საქონლებრუნვის 1948 წლის III კვარტალის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 93 პროცენტით.

ცალკე სისტემების მიხედვით საქონლებრუნვის გეგმა შესრულებულია: ვაჭრობის სამინისტროში —91 პროცენტით, სამომხმარებელო კოოპერაციაში — 104 პროცენტით, სარეწაო კოოპერაციაში — 80 პროცენტით, ინვალიდთა კოოპერაციაში — 55 პროცენტით.

საზოგადოებრივი კვების ბრუნვის გეგმა ცალკეული სისტემების მიხედვით შესრულებულია: ვაჭრობის სამინისტროში — 62 პროცენტით, სამომხმარებელო კოოპერაციაში — 83 პროცენტით, სარეწაო კოოპერაციაში — 78 პროცენტით და ინვალიდთა კოოპერაციაში — 60 პროცენტით.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

მეჯი ყურადღება შრომის ორგანიზაციასა და ანაზღაურებას კოლმეურნეობებში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 აპრილის დადგენილება კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების გადაჭრით გაუმჯობესების, აღორძინების საქმეში ყველა წესრიგის დამყარების სამართლიანი პროგრამაა. იგი კოლმეურნეთა შორის ზრდის პასუხისმგებლობას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ყველა უბანზე და მძლავრ სტიმულს აძლევს კოლმეურნეებს მოსავლიანობისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი განვითარებისათვის.

როგორ აზორკეულებენ დმანისისა და ბოლნისის რაიონების კოლმეურნეობებში ამ მნიშვნელოვან დადგენილებას? როგორც დმანისის, ისე ბოლნისის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში ფილმი შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია, რაც აფერხებს კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას. მაგალითად, დმანისის რაიონის სოფელ კალამშის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურეობაში ფილმე კოლმეურეთა სამუშაოები არ არის შეფასებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 აპრილის დადგენილების საფუძველზე. კოლმეურნეობის საანგარიშო დარგის მუშაკებმა არ იციან ახალი გამომუშავების ნორმება ის, თუ რომელი ფილმ დაფრიცხონ კოლმეურნეებს შრომადღეებად შეფასებანი. კოლმეურნეობაში ბოლუფსრაგებელია აღრიცხვა. აქ სექტემბრიდან დღემდე როგორც უწყისებში, ისე კოლმეურნეთა შრომადღის აღრიცხვის წიგნაკებში შრომადღეები დაფრიცხავი აქვთ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 აპრილის დადგენილების მიხედვით საწარმოო ბრიგადების ბრიგადირები ყოველდღიურად უნდა აღრიცხავდნენ თავთავიანი კოლმეურნის მიერ შესრულებულ სამუშაოს და კოლმეურნის შრომის წიგნაკში თავის დროზე სწერდნენ მის მიერ გამომუშავებულ შრომადღეებს. ამ წესს აღნიშნულ კოლმეურნეობაში არ იცავენ. მაგალითად, 10 ოქტომბერს მესამე ბრიგადამ (ხელმძღვანელი ვ. ცოხელაშვილი), საშემოდგომო ხორბალი დათესა უხარისხო მოხნულ მიწაზე. ამიტომ ფარცხი ვერ მუშაობდა წესიერად და თესლის მნიშვნელოვანი ნაწილი არ იყო ჩათესული ნიადაგში სათანაო სიღრმეზე. ბრიგადირმა ვ. ცოხელაშვილმა სათესლე მასალა საწყობიდან (ამავე ე. დეკონზაშვილი) მიიღო კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და ბუხმალტრის უკანონოდ და ისე სთესავდა. შემოწმებით გამოირკვა, რომ სათესლე მასალა უკანონიო იყო. ამ კოლმეურნეობაში ხშირად ხდება საწყობიდან პროდუქტების გაცემა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ბეკრილის

. მხოლოდ მოაბარაშის განკარგულებით. ეს მაშინ, როცა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით მოაბარაშეს არა აქვს კოლმეურნეობის სახსრების ერთპიროვნულად გამგეობლობის, აკუნესების ვაცემის და ნატურალური ფონდების ხარჯვის არავითარი უფლება.

შრომის ანაზღაურების ახალი წესის მიხედვით საკრიბო მოსავალი კოლმეურნეობებში განაწილდეს ბრიგადის მიერ მოწეული მოსავლის ვათვალისწინებით, ხოლო ბრიგადებში—რგოლების მიერ მოწეული მოსავლის გამოვალისწინებით ისე, რომ იმ ბრიგადირმა და რგოლების კოლმეურნეებმა, რომლებმაც უფრო მაღალი მოსავალი მიიღეს, მიიღონ შესაბამისად, უფრო მაღალი ანაზღაურება, ხოლო იმ ბრიგადებსა და რგოლების კოლმეურნეებმა, რომლებმაც დაბალი მოსავალი მიიღეს, თავიანთი შრომისათვის ნაკლები ანაზღაურება მიიღონ, ამისათვის —ოთბელი მოსავალი ცალ-ცალკე უნდა აღირიცხოს. მაგრამ ასე როდი ხდება. მაგალითად 10 ოქტომბერს ამავე კოლმეურნეობის წევრები მეშაობდნენ კარტოფილის მოსავლის აღებაზე. აღებული მოსავალი მინდვრიდან სამი კოლმეტრის მანძილიდან აუწონიანად მიქონდათ საწყობში, ხოლო საწყობის გამგე ე. დეკონზაშვილი მილიან წონას ინაშნავდა ებრალო რეკულის ფურცელზე ისე, რომ ცალკე არ სწერდა ზედნადებს.

შედარებით უკეთესი შედეგმორეობაა ამ რაონის სოფელ მოჯის XVII პარტყრილების სახელობის კოლმეურნეობაში. აქ საგრძნობლად გადიდდა შრომის ნაყოფიერება და ანაზღაურების მოწესრიგებამ დიდი დადებითი ეფექტი გამოიწვია კოლმეურნეთა შორის. მაგალითად, მარტო ზარშან შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების შედეგად კოლმეურნეობაში შრომის ანაზღაურების წესით კარტოფილი გაეცემოდ იქნა 14.381 კილოგრამი, სიმინდი 18.000 კილოგრამი, ცალკეულმა კოლმეურნეებმა: ო. ოქროშვილმა, ე. შარანაშვილმა, მ. ოქროშვილმა, ა. ადუაშვილმა — სულ 257 კაცმა — თვითეულმა მიიღო შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით 100-143 კილოგრამამდე კარტოფილი.

კოლმეურნეობები ვალდებულნი იყვნენ სამუშაოები შეეფასებინათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 19 აპრილის დადგენილების საფუძველზე, მაგრამ ჯერ კიდევ 52 კოლმეურნეობიდან 38 კოლმეურნეობის სამუშაოთა გამომუშავების ნორმები და შრომადღეებები შეფასება კონტროლის წესით არ არის განხილული რაიასამბლეის აღმასკომში.

ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ბოლნისის რაიონის დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ასანაი). აქ საკმაოდ იყენებენ წესრიგ ჯგუფურ და ინდივიდუალურ სანარდო სისტემას. ბრიგადები და რგოლებში შესრულებულ სამუშაოს ფიზიკისაგან თვითეული კოლმეურნის მიხედვით: ყოველივე ამან ამაოდა პასუხისმგებლობა შესასრულებელი სამუშაოს ხარისხისათვის.

კოლმეურნეობის გამგეობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მინდვრის სამუშაოთა ხარისხს. კონტროლს უწევენ კოლმეურნეების შრომადღეების დაფრიცხვის საქმეს. მაგალითად, მეთექვსმეტე ბრიგადის პირველი მეგოლეურ-ბა შ. გერბილაძემ ვეფხის პლანტაციის დახვნაზე ითუშავა და ფაქტიურად შრომადღეები დაფრიცხეთ იქნა პლანტაციის გადაბარვაზე, რაც 50 შრომადღით მეტ სხეობას ანლეოდა. ეს მეგოლეურნეობა მოაწყო ბრიგადირ ა. ბობოხიძესთან შეთანხმებით. გამგეობამ ამაზე მიიღო სათანაო ზომები, უკანონოდ დარიცხული შრომადღეები მეგოლეურ შ. გერბილაძეს ჩამოაწერა და 5 შრომადღით დაუკლარიმა. ასეთი მუშაობის შედეგად წელს აქ კოლმეურნეები თვითეულ შრომადღეზე 6 კილოგრამამდე მარცვლეულს მიიღებენ. გარდა ამისა, შრომის ანაზღაურების წესით მოსალოდნელია 200 ტონამდე სამინდი გასცეს, ნაცვლად შარშანდელი 168 ტონისა.

დაბა ბოლნისის ქირვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ციკალია) ლიკვიდირებულია ბრიგადების შემადგენლობის დენაღობა; კოლმეურნეობის მოსავალი ნაწილდება ბრიგადებს და რგოლების მოსავლიანობის გათვალისწინებით, ანრეთვე ცალკეული კოლმეურნეების მუშაობის შედეგების მიხედვით ეძლევათ შრომის დამატებითი ანაზღაურება; ბაღოების ბაღნის ცალკეული კოლმეურნეებისათვის ნაკვეთის მიჩენამ კარგი შედეგი მოიტანა. მაგალითად, მეექვსე ბრიგადის წევრმა ი. ბუჭვილიძემ შარშან მარტო დამატებითი ანაზღაურების სახით 2.700 კილოგრამი სიმინდი მიიღო. შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალმა წესმა გაზრდა კოლმეურნეთა პასუხისმგებლობა მოსავლიანობის გადიდებისათვის. მეორე ბრიგადამ (ხელმძღვანელი ი. სირაძე), რომელმაც ჯერჯერობით სიმინდის მოსავალი 2 ჰექტარზე აიღო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 ცენტნერისა, ჰექტარზე 75 ცენტნერი სიმინდი მიიღო. მესამე ბრიგადის წევრმა ელენე რობაქიძემ, რომელსაც მიჩენილი ჰქონდა 0.5 ჰექტარი სიმინდის ყანა, მოიწია 30,7 ცენტნერი სიმინდი.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა როდია ამავე რაიონის სოფელ რატეევის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეთა შრომადღეების აღრიცხვის დავთარში, კოლმეურნეების გამომუშავებული შრომადღეები პირველ სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე ჩაწერილი არ არის. ანგარიშსწორების ნოვენში პირველი იანვრიდან დღემდე შრომადღეები არ არის გადატანილი. კოლმეურნეებს შრომის წიგნაკებში ბრიგადირები ხელს არ აწერენ.

დმანისისა და ბოლნისის რაიონების ცალკეული კოლმეურნეებები ჯერ კიდევ სათანადოდ არ ზრუნავენ ახალი ნორმების დასამუშავებლად, ამ საქმეში არ აბამენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ბრიგადირებსა და მეგოლეურეებს, მოწონავე კოლმეურნეებს. გამომუშავების ახალი ნორმების დაზუსტებისას, ფართოდ არ იყენებენ მოწონავე კოლმეურეთა გამოცდილებას, ამ რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზმმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურეობებს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების გადაჭრით გაუმჯობესების საქმეში.

შ. ჭოჭუა

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„თესლის მომზადებას ყურადღება არ ექცევა“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 15 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა „ერეს-პონდენცია, რომელშიც ადნიშნული იყო ნაკლოვანებანი თესლის მომზადების მხრივ, რასაც ადგილი ჰქონდა თელავის რაიონში.

საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივანი ამხ. ე. სეხნიაშვილი გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. მიღებულია ენერგიული ზომები თესლის სათეს კონდიციამდე ასაყვანად და საშემოდგომო თესლის დასაჩქარებლად.

ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ*

ა. ი. ვიშინსკის სიტყვა გენერალური ასამბლეის პირველი კომიტეტის 1948 წლის 12 ოქტომბრის სხდომაზე

3. ზუსტი კონტროლისათვის. მართალი ინფორმაციისათვის

რჩება კიდევ საკითხი კონტროლის შესახებ. ინგლისის დელეგატები განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ კონტროლზე, ურომლისოდაც, თითქოს, არ შეიძლება მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ატომური იარაღის აკრძალვისა და დიდ სახელმწიფოთა შეიარაღების მეასმედით შემცირების შესახებ.

... რების ხუთწლიანი სტალინური გეგმით, ისახავს ამოცანას უზრუნველჰყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მრეწველობისა და მოხმარების საშუალებათა აღმავლობა და ამის საფუძველზე ხუთწლედის განმავლობაში თითქმის ერთნახევარჯერ გაადიდოს სახალხო შემოსავლის ომამდელი დონე, შექმნას ჩვენს ქვეყანაში ...

... გვეუბნებიან, რომ ჩვენ უკვე მოგვთხოვეს რომელიღაც კომიტეტში ინფორმაცია შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შესახებ, და ჩვენ ასეთი ინფორმაცია არ მივეცით. სირიის წარმომადგენელმა ამაზე უკვე სთქვა, რომ ასეთი ინფორმაცია ბევრ სახელმწიფოს, მგონი ყველა სახელმწიფოს მოსთხოვეს და არავის ეს ინფორმაცია არ მოუციათ. ხოლო ჩვენ ამას ბრალად გვდებენ. მაგრამ ჩვენ ვალდებულიც არ ვიყავით საერთოდ ყოველ...

... იქნება იმ პრაქტიკულ ღონისძიებებთან, რომლებიც უნდა მოჰყვნენ პრინციპულ გადაწყვეტილებას შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ. აი რატომ ვუპასუხებთ ჩვენ ყველა ამ დემაგოგიურ ყვი...

... დამთავრდა 1945 წლის მეორე ნახევარში? განა მათ არ იციან, რომ 1947 წლის თებერვალში გამოიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება შემდეგი ასაკების დემობილიზაციის შესახებ? განა მათ არ ...

... შორისო თანამშრომლობას, ვინაიდან იგი მიმართულია ისეთი მიზნების განსახორციელებლად, რომელთაც ამ საკითხთან საერთო არა აქვთ რა.

მაშ რა არის საჭირო იმისათვის, რომ მართლაც განმტკიცდეს ნდობა საერ...

4. საბჭოთა წინადადებების ვაი-კრიტიკოსები

ახლა უნდა გადავიდე ბ-ნ ოსტინზე, თუმცა მანამდე, ნება მიბოძეთ, რამდენიმე სიტყვა ვთქვა კანადის წარმომადგენლის გამოსვლაზე. კანადის წარმომადგენელი ისე გათამამდა, რომ უაზროდ გამოაცხადა საბჭოთა რეზოლუციის ის ნაწილი, სადაც ნათქვამია რეკომენდაციაზე — უშიშროების საბჭოს ფარგლებში დაწესდეს საერთაშორისო საკონტროლო ორგანო შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის ღონისძიებათა მეთვალყურეობისა და შესრულებისადმი კონტროლის მიზნით. მაგრამ მან მხედველობიდან გაუშვა ის გარემოება, რომ ჩვენი რეზოლუციის ამ ნაწილში მოყვანილია ის, რაც ნათქვამია გენერალური ასამბლეის 1946 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციის მე-6 პუნქტში, და მეტი არაფერი.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ოსტინიც უკმაყოფი...

... თანხმება უმრავლესობის წინადადებებს. მაგრამ განა, ამ შემთხვევაში, უმცირესობას უფლება არა აქვს ასეთივე მოთხოვნა წარუდგინოს უმრავლესობას? განა უმცირესობას, ასეთ შემთხვევაში, უფლება არა აქვს მოელოდეს, რომ უმრავლესობამაც უნდა სცნოს და დაეთანხმოს უმცირესობის გონივრულ მოთხოვნებს, ურომლისოდაც არც უმრავლესობას შეუძლია დაიმსახუროს რაიმე ნდობა?

არსებითად რომ ვთქვათ, ამ დელეგაციების მსჯელობანი ნდობაზე, რომლებიც ეს არის ზემოთ მოვიყვანეთ, წარმოადგენენ მოთხოვნას — დავემორჩილოთ უმრავლესობის ნება-სურვილს, უსიტყვოდ მივიღოთ ის, რის წინადადებასაც იგი იძლევა. მაგრამ საერთაშორისო საქმეებში საკითხის ასეთი დაყენება მიუღებელია. არავითარი თანამშრომლობა არ შეიძლება ქვეყნებს შორის, თუ სახელმწიფოთა ერთი ჯგუფი, შეთანხმდა რა ერთობ...

... აარიდონ საბჭოთა წინადადებების მიღებას? ყოველივე ეს ზღაპარი და მონაგონია, რომლებითაც, რა თქმა უნდა, ფონს ვერ გახვალ.

არის სხვა რამ, რაც ხელს უშლის საერთაშორისო ურთიერთობაში ნდობის დამყარებას. ეს არის ისეთი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის მიმართულება, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი, რაც, მართლაც, ხელს უშლის საერთა...

... ხალხთა შორის, ისე რაძღენადაც წარმატებით განვითარება ყოველივე იმისა, რაც ძვირფასია თანამედროვე ცივილიზაციაში" (ვ. ი. ლენინი. თხზ. კრებული, ტ. 27, გვ. 313).

აი, ბატონებო, ის გზა, რომლითაც იქმნება, მოიპოვება ნდობა. ამ გზით უნდა ვიაროთ კიდეც იმისათვის, რომ ნამდვილად მოვიპოვოთ ნდობა, რომ ეს ნდობა გადავაქციოთ საერთაშორისო ურთიერთობის საფუძვლად.

5. ამერიკელი სენატორის თეორიული ვარჯიშობა

ახლა უნდა გადავიდე სენატორ ოსტინის გამოსვლაზე და, უწინარეს ყოვლისა, მის ზოგიერთ თეორიულ ვარჯიშობაზე მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში. თურმე ბ-ნი ოსტინი უკმაყოფილოა იმით, რომ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება განასხვავებს სამართლიან ომებსა და უსამართლო ომებს...

... მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს. 14 სახელმწიფოს ჯვაროსნული ლაშქრობა 1918-1919 წლებში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ისტორიული ფაქტია. მეორე მსოფლიო ომი და ჰიტლერული თავდასხმა საბჭოთა კავშირზე ისტორიული ფაქტია. საბჭოთა კავშირი როდი ესხმის თავს და როდი ამ...

...

... ომებსა და უსამართლო ომებზე, ბ-ნმა ოსტინმა წინდახედულად გამოტოვა ციტირების დროს ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ „სანამ კაპიტალისტური გარემოცვა რჩება, არსებობს სოციალიზმის ქვეყანაზე იმპერიალისტურ სახელმწიფოთა თავდასხმის საფრთხე".

საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ისტორია კი ამ დებულების ურყევობის ...

... ყოველ ქვეყანაში.

დაიმოწმა რა რიბენტროპის სახელზე გაგზავნილი საიქმო ხასიათის ჩვენი დეპეშა, ბ-ნი ოსტინი შეეცადა გაემეორებინა ექსპერიმენტი სახელმწიფო დეპარტამენტისა, რომელმაც გამოუშვა კრებული ნაცისტებისა და საბჭოთა ...

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 205 და № 206.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

Ა. Ი. ᲕᲘᲨᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ 1948 ᲬᲚᲘᲡ 12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

კავშირის ურთიერთობის შესახებ 1941 წლის განმავლობაში. მაგრამ უკვე დამტკიცებულია, რომ ეს ეგრეთწოდებული კრებული ისტორიის უხეშ ფალსიფიკაციას წარმოადგენს. თუ მეორე მსოფლიო ომის წინაპერიოდს უნდა შევეხოთ, მაშინ უნდა გავიხსენოთ ის როლი, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეასრულეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჰიტლერული აგრესიის მომზადებაში, აღმოსავლეთისაკენ ლაშქრობის მომზადებაში. შეიძლებოდა დავკმაყოფილებულიყავით იმის გახსენებით, რომ ჰიტლერული აგრესიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იყო გერმანიის მძიმე მრეწველობისა და სამხედრო პოტენციალის აღდგენა, რაც შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მხრივ ჰიტლერული გერმანიისადმი პირდაპირი და ფართო დახმარებით პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. სწორედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაუწიეს დახმარება ჰიტლერულ გერმანიას მოკლე ვადაში შეექმნა სამხედრო და ეკონომიური ბაზები და ამრიგად შეაიარაღეს ჰიტლერული აგრესია.

ამ საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულა შრედერის ბანკმა, სადაც ხელმძღვანელი მდგომარეობა ეკავა გერმანიის ფოლადის ტრესტს, რომელიც ტისენმა და რურის მრეწველობის სხვა მაგნატებმა მოაწყეს; თვალსაჩინო როლი შეასრულა ადვოკატთა ცნობილმა ფირმამ „სოლივან და კრომველმა", რასაც მეთაურობს ჯონ ფოსტერ დალესი, ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე ამერიკის საგარეო პოლიტიკის დარგში. ყოველივე ეს ფაქტია, რომელსაც ვერსად გაექცევი. ბ-ნმა ოსტინმა, რომელსაც სურდა შეერყია ნდობა საბჭოთა კავშირისადმი, შეუტია კომუნისტურ პარტიებს და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას. მან მოიყვანა ერთი ადგილი (აქვე უნდა ითქვას, მას არ აღუნიშნავს, თუ საიდან ამოიღო იგი, მაგრამ მე ვიცი საიდან), რომელიც მან ამოიღო ლენინის შესანიშნავი ნაშრომიდან „მემარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში". მაგრამ ბ-ნმა ოსტინმა ეს ადგილი დამახინჯებულად მოიყვანა. ოსტინმა ისარგებლა შპარგალით, რაც მისთვის მოამზადეს მცირე ცოდნის მოხელეებმა სახელმწიფო დეპარტამენტიდან, რომლებიც, რა თქმა უნდა, ვერ გაერკვნენ და არც შეეძლოთ გარკვეულიყვნენ საკითხის არსში. ამასთან მათ ეს ციტატი ამოჰგლიჯეს კონტექსტიდან და ამიტომ ასეთი ციტირებიდან არაფერი შეიძლებოდა გამოსულიყო, გარდა ოსტინის შერცხვენისა.

ოსტინის მიერ მოყვანილი ციტატი ამოღებულია ლენინის შესანიშნავი ნაშრომიდან „მემარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში". ამ ადგილას მართლაც აღნიშნულია, რომ საჭიროა გვქონდეს უნარი მუშათა კლასის მტრების ხრიკებს დავუპირისპიროთ ტაქტიკა, რომელიც არ მოერიდებოდა არავითარ ეშმაკობას, ხრიკს და სხვ. მაგრამ ამ ადგილას ლენინი შემდეგს ამბობს:

„ცხადია, ოპორტუნიზმის ბატონი „ბელადები" მიმართავენ ბურჟუაზიული დიპლომატიის ყოველგვარ ხრიკს, ბურჟუაზიული მთავრობების, ხუცების, პოლიციის, სასამართლოების დახმარებას, რათა არ დაუშვან კომუნისტები პროფესიულ კავშირებში, ყოველნაირად შეავიწროვონ და გამოდევნონ ისინი იქიდან, რაც შეიძლება უსიამოვნო გახადონ მათი იქ მუშაობა, შეურაცხჰყონ და სდევნონ ისინი" (ვ. ი. ლენინი. თხზ. კრებული, ტ. 25, გვ. 199).

ლენინიზმი გვასწავლის, მუშათა კლასის ამ მოწინავე ადამიანების სწორედ ამ დევნას, შევიწროებას, თავდასხმას დავუპირისპიროთ მამაცობა და სიმტკიცე, მაგრამ არა მარტო ეს თვისებანი, არამედ ყოველგვარი ოსტატობა, ეშმაკობა, არალეგალური ხერხები, რათა დავუკავშირდეთ მასებს, ვიყოთ მასებში, რათა მასებთან ერთად ვიბრძოლოთ და ვუხელმძღვანელოთ მასებს. ოსტინმა დაამახინჯა ეს ციტატი, ზოგიერთი სიტყვების ნაცვლად სხვა სიტყვები დასვა და ცდილობდა იგი იმისათვის გამოეყენებინა, რომ ცხადეყო პარტიის მოწინავე მუშების ტაქტიკისა და პოლიტიკის მორალური დონე.

ამაო ცდაა! ლაპარაკია მუშათა კლასის ბრძოლაზე. ლაპარაკია ბურჟუაზიის მიერ მუშათა კლასისა და პროფესიული მოძრაობის მოწინავე ადამიანების დევნის, მასზე ზეგავლენის ყოველგვარ უკანონო მეთოდსა და ხერხზე. ლენინიზმი გვასწავლის—მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანთა დევნას დავუპირისპიროთ მამაცობა, მზადყოფნა ყოველგვარი მსხვერპლის გაღებისათვის, რათა მუშათა მასებთან ერთად ვიბრძოლოთ მათი ინტერესებისათვის.

ამრიგად, საქმე ეხება ბრძოლას, ხოლო ბ-ნ ოსტინისათვის ცნობილი უნდა იყოს ფრანგული ანდაზა: „ომი ომია". თუ ბურჟუაზია მუშათა კლასის წინააღმდეგ იყენებს ზეგავლენას, დევნის ყოველგვარ საშუალებას, განა ბუნებრივი არ არის, რომ მუშათა კლასმაც გამოიყენოს თავდაცვის საშუალებანი? თუ საჭიროა ამ საკითხში მარქსიზმ-ლენინიზმის დამოწმება, მაშინ უნდა გავიხსენოთ შემდეგი ციტატი ვ. ი. ლენინის აღნიშნული შესანიშნავი ნაშრომიდან: „უნარი რომ გვქონდეს დავეხმაროთ „მასას" და მოვიპოვოთ „მასის" სიმპათია, თანაგრძნობა, მხარდაჭერა, არ უნდა შევუშინდეთ სიძნელეებს, არ უნდა შევუშინდეთ შარის მოდებას, ფანდებს, შეურაცხყოფას, დევნას „ბელადების" მხრივ (რომლებიც, როგორც ოპორტუნისტები და სოციალშოვინისტები დაკავშირებული არიან ბურჟუაზიასა და პოლიციასთან) და აუცილებლად უნდა ვიმუშაოთ იქ, სადაც მასაა, უნარი უნდა გვქონდეს გავიღოთ ყოველგვარი მსხვერპლი, გადავლახოთ ყოველგვარი დაბრკოლება, რათა სისტემატურად, შეუპოვრად, დაჟინებით, მოთმენით გავწიოთ პროპაგანდა და აგიტაცია, თუნდაც იმ უაღრესად რეაქციულ დაწესებულებებში, საზოგადოებებში, კავშირებში, სადაც კი არის პროლეტარული თუ ნახევრადპროლეტარული მასა" (ვ. ი. ლენინი. თხზ. კრებული, ტ. 25, გვ. 198).

აი რას გვასწავლის მარქსიზმ-ლენინიზმი—ეს დიადი მოძღვრება, მუშათა კლასის, მთელი მშრომელი კაცობრიობის ეს ძლევამოსილი დროშა.

ბ-ნი ოსტინი შეეცადა გაეშავებინა საბჭოთა კავშირი, შეერყია ნდობა საბჭოთა პოლიტიკისადმი, რომელიც თითქოს არ უგულებელჰყოფს და კიდეც ამართლებს მოქმედების მაკიაველისებურ ხერხებსა და მეთოდებს. მაგრამ უმჯობესია ოსტინმა დახედოს თავის თავსა და თავის მეგობრებს... განა ბ-ნ ოსტინსა და მის მეგობრებს დაავიწყდათ, რომ სულ ამას წინათ ინგლისის დაზვერვამ გამოუშვა ნაყალბევი, ცნობილი „ოქმი მ" სახელწოდებით, რათა სახელი გაეტეხა მოწინავე ადამიანებისათვის გერმანიაში. ხოლო ამასთან ერთად საბჭოთა კავშირის პოლიტიკისათვის გერმანიაში?

ალბათ, ყველას ახსოვს, რომ ამა წლის იანვარში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პრესის საშუალებით გაავრცელა საიდუმლოებით მოცული დოკუმენტი სახელწოდებით „ოქმი მ". ამ ოქმის შინაარსი ჩამოყალიბებული იყო სათაურში: „გერმანელ კომუნისტთა გეგმები რურში გაფიცვების მოსაწყობად და დასავლეთ გერმანიაში ტრანსპორტის დეზორგანიზაციისათვის", როცა ამის გამო პარლამენტში შეეკითხნენ ბ-ნ ბევინს, მან თავის მაგიერ გაგზავნა ბ-ნი მაკნეილი, და აი მაშინ ბ-ნმა მაკნეილმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას სჯერა ამ ოქმის სინამდვილე.

მიიღეს რა ეს ნაყალბევი, ამერიკისა და ბრიტანეთის საოკუპაციო ხელისუფლებმა გერმანიაში იგი გამოიყენეს უხეში პოლიციური თვითნებობისათ-

ვის, კომუნისტური პარტიის გაზეთების დასახურავად, გერმანიის დემოკრატიული ორგანიზაციების შენობებზე პოლიციის მთელი რიგი თავდასხმებისა და დარბევის მოსაწყობად, სახალხო კონგრესის ასაკრძალავად და, ბოლოს, პროფკავშირებზე ზეგავლენის გასაძლიერებლად. მაგრამ 1948 წლის 10 [illegible]

ჭიროება. მაგრამ არ შემიძლია არ გამოვეხმაურო შემდეგ გარემოებას: არსებითად რომ ვთქვათ, რით არის აღშფოთებული ბ-ნი ოსტინი? პოლიტბიუროს დეკლარაციაში, რომელიც მე წავიკითხე, სწერია, რომ მზადდება ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მზადდება იმპერიალისტთა ომი, და [illegible]

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲧᲐᲚᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს ცნობიდან შევიტყვეთ, საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის 27-ე ყრილობაზე მიწვეულ საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციის წევრებს ვიზების მიცემაზე უარი ეთქვათ იმ მიზეზით, რომ საბჭოთა დელეგატები თითქოს თხოულობდნენ საფრანგეთში ერთი თვის ვადით დარჩენის ნებართვას, მაშინ როცა ყრილობა მხოლოდ ხუთ დღეს უნდა გაგრძელებულიყო.

ამ განცხადების გამო პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო საჭიროდ სთვლის განაცხადოს შემდეგი.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება წმინდა წყლის მონაჭორია. საფრანგეთის საელჩოს მოსკოვში გადაეცა თხოვნა საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის 27-ე ყრილობაზე მიწვევასთან დაკავშირებით საფრანგეთში შესასვლელი ვიზები მიეცა საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციის წევრებისათვის. ამ თხოვნაში სრულებით არ იყო მოხსენებული საფრანგეთში ყოფნის ვადა. საფრანგეთის საელჩომ მოსკოვში საბჭოთა დელეგატების პასპორტებს საკუთარი ინიციატივით დაუსვა ვიზები საფრანგეთში ყოფნის ორი კვირის ვადის აღნიშვნით, რომლებიც შემდეგ, როგორც ცნობილია, გააუქმა პარიზიდან მიღებული მითითების მომიზეზებით. საბჭოთა წარმომადგენლებს ვიზების მოქმედების აღნიშნული ვადის წინააღმდეგ პროტესტი არ განუცხადებიათ.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს მიაჩნია, რომ საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა უხეში ცდაა შეცდომაში შეიყვანოს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და დაჰფაროს თავისი აშკარა განზრახვა: ხელი შეუშალოს მეგობრული ურთიერთობის განვითარებას სსრ კავშირისა და საფრანგეთის მშრომელებს შორის.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის იმ დეპეშის პასუხად, რომელიც საბჭოთა პრესაში ამა წლის 14 ოქტომბერს გამოქვეყნდა, საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციაში გაერთიანებული პროფკავშირების ყრილობამ პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა:

„შრომის საყოველთაო კონფედერაციის კონგრესი მხურვალე სალამს გიგზავნით და მადლობას გიხდით მისთვის გამოგზავნილი დეპეშისათვის.

კონგრესი ენერგიულ პროტესტს აცხადებს ჩვენი ქვეყნის მთავრობის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლითაც თქვენ აგეკრძალათ საფრანგეთში ჩამოსვლა. საფრანგეთის მუშათა კლასი და ფრანგი ხალხი ჰგმობენ ამ არასწორ პოზიციას და გთხოვენ ერწმუნოთ, რომ მთავრობის პოზიცია ეწინააღმდეგება მეგობრობისა და უდიდესი მადლიერების იმ გრძნობას, რომლითაც ისინი გამსჭვალულნი არიან სსრ კავშირის მუშათა კლასისა და მთელი საბჭოთა ხალხისადმი. ჩვენ შევძლებთ ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა განთავისუფლდეს ამ რეაქციული პოლიტიკისაგან, რომელიც შთაგონებულია ამერიკელი ექსპანსიონისტების მიერ. დადგება დღე, როცა თქვენ მიგიღებთ ისე, როგორც ეს ჩვენ გვსურს, ნამდვილად თავისუფალ და დამოუკიდებელ ქვეყანაში, როგორც ერთგული მეგობრები. გარწმუნებთ, რომ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი თქვენთან ერთად ვიბრძოლოთ მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

გაუმარჯოს სსრ კავშირისა და საფრანგეთის მშრომელებისა და ხალხების მეგობრობას!

გაუმარჯოს სსრ კავშირის პროფკავშირებს!

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ".

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 15 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ბერლინის საბჭოთა სექტორის პრესაში გამოქვეყნდა გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის საინფორმაციო ბიუროს ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

საჰაერო უშიშროების საბჭოთა სამსახურის ცნობებით, ინგლისისა და ამერიკის თვითმფრინავების მიერ ფრენის წესების დარღვევა საბჭოთა ზონასა და ბერლინის რაიონში აქამდე გრძელდება. მაგალითად, პირველიდან 12 ოქტომბრამდე ინგლისის თვითმფრინავებმა დაუშვეს 15 დარღვევა, ამერიკისამ — 5. დარღვევა უმთავრესად გამოიხატება აკრძალულ ხიმაღლეებზე ფრენით საბჭოთა აეროდრომების ფარგლებში. აღნიშნავენ აგრეთვე ჰაერში ხულიგნურ მოქმედებას.

ქალაქ გოტის (ტიურინგია) რაიონში ამერიკული „ს-47" თვითმფრინავიდან ჩამოაგდეს 3 ცარიელი კასრი. ამ უცნაურმა შემთხვევამ აღაშფოთა ადგილობრივი მცხოვრებლები და მათ თხოვნით მიმართეს სათანადო ხელისუფლებას გამოიძიონ ეს შემთხვევა.

ქალაქ ბრანდენბურგის ფარგლებში ამერიკის „ს-54" თვითმფრინავიდან ჩამოჰყარეს ფურცლები, როგორც ჩანს, პროკლამაციები, რომლებიც ქარმა გაჰფანტა.

ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 15 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის დეპარტამენტი იუწყება, პოლონეთის მთავრობამ გადასწყვიტა დადებითად უპასუხოს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვას ორივე ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲡᲐ" ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ" ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

15 ოქტომბერს მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე მოეწყო „სსრ კავშირის თასზე" პირველი ნახევრადფინალური შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" გუნდები.

ამ უძველესი გუნდების შეჯიბრება ყოველთვის იზიდავს ფეხბურთის ათეულ ათასობით მოყვარულს. მაგრამ ამ შეხვედრამ მოლოდინი არ გაამართლა. თამაში ნაკლებშინაარსიანი იყო, ამასთანავე მოთამაშენი უხეშობას იჩენდნენ. ერთადერთი ბურთი, რომელმაც თამაშის შედეგი გადასწყვიტა, თბილისელთა კარში 11 მეტრიდან დარტყმით იქნა გატანილი მოსკოველების მიერ.

შეხვედრა მოიგო „სპარტაკმა" ანგარიშით 1:0, და იგი ფინალში გავიდა.

დინამოელებმა, რომლებმაც მსაჯის ამხ. მორგუნოვის მოქმედება უმართებულოდ ჩასთვალეს, მატჩი გაასაჩივრეს. (საკდესი).

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ტერენტი თომას-ძე შტიკოვი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

ორშაბათს, 18 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში შესდგება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ლექტორთა მუდმივმოქმედი სემინარის მეცადინეობა. ლექციას თემაზე: **„ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სესიის შედეგები და საზოგადოებრივ-ეკონომიური მეცნიერების სწავლების ამოცანები"** — წაიკითხავს ამხ. ა. ქუთელია.

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ლექტორთა დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე Ი. ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 27 ოქტომბერს, დღის 2 საათზე, № 93 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ᲤᲐᲢᲘ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲐᲡᲣ-ᲚᲘ ᲒᲝᲙᲘᲔᲚᲘ** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „აღორძინების ეპოქის ფრანგული სოციალ-პატრიოტული ლირიკა". [illegible]

[illegible]

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ [illegible]

მშობლები ნინო, რევაზ, პაპა ამბროსი, ბებია ვერა, მამიდა თინა, დეზი იზაბელა და ციცინო შანშიაშვილები, გიგო და ვარა ზაზიაშვილები იუწყებიან პატარა **ავთანდილ შან-**[illegible]

ქიათურის ექიმთა საზოგადოება იუწყება აკადემიკოს **გრიგოლ მიხეილის-ძე მუხაძის** გარდაცვალებას.

[illegible]

ტირაჟი 118.000 უწ 14920